№ 107

სახალხო გაზეთი

№ 107

სამშაბათი, 14 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * ***ხელის-მომწერთა საყურადღებოდ*** * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

სამშაბათს, 14 ენკენისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში გარდახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ელისაბედ იოსების ასულის ქარველიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილები და სიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს. (1—ფ—1)

იულია რევაზის ასული ჯავახოვისა შვილებითურთ და **ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ჯავახოვი** სახლობით გულითადს მადლობას უცხადებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომელთაც პატივი სცეს და ანუგეშეს მწუხარებაში თანადასწრებით და აგრეთვე წერილებით და დეპეშებით, (1—ნ.—1)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო

ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათ წიგნად. შვიდი ნომერი უკვე გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება ღვინობისთვის ნომერი. ჟურნალი წლიურად ღირს **სამი მანეთი**, სოფლის მასწავლებელთათვის **2 მანეთი**. ხელის მოწერა მიიღება ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ი. ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. ტფილისს გარედ საკუთარ აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

(2—უ.—1) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

„ნაკადულის“ პრემია).

შემუშავებული ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთა რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და დაუთმოს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა 20 ენკენისთვემდე. ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი. (6—უ.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და [illegible] ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. [illegible]—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—277)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ვნფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მამაცოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—488)

იაროსლავისა
პირველად
ნახეთ მეოთხე გვერდზე

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგანგებო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვაია რეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“. ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე, რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общiй входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ.** საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: სამტრედიაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ბაქოში, ელისავეტპოლში (განჯა), ერევანში და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебро ъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

სარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—96)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. გვრა, ყორღანოვის ქ. 20. (0—ნ.—44)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—215)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.-2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ნაღ.—31)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ საწოლებით.

მიხეილის პროსპ., 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფ. N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ—სიფილისი, კანისა და საშარდის ავადმყოფთ. 1—2 საათ.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგანი, ნერვებისა და სულიერი ავადმყოფობანი. ელექტროტერაპია. 11—12 საათ.

კიმონტი მ. პ.—ქირურგიული ავადმყ. 11—12 საათ

მაგაკიან გ. ნ.—შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი 11 ნახ.—12 ნახ. საათ.

ა. დ. კალმიკოვა-ვნუკოვა—საქალებო ავადმყ. 11—12 საათ.

მზარეულოვი მ. ე. 12 ნახ.—1 ნახ. საათ. სიფილისი, კანის და საშარდის ავადმყოფობანი.

სამკურნალოში უწამლებენ ელექტრონით, უკეთებენ მასსაჟს, მოახდენენ ბაქტერეოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევებს; უცრიან ყვავილს; შეამოწმებენ ძიძებს ფასი დარიგებისთვის **50 კაპ.** ოპერაციის და კონსულტაციის ფასი მორიგებითი საავადმყოფო განყოფილება შესდგება საერთო პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—32—6)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიძლოვისა. (25—9—10)

ბრიუსელის უნივერსიტეტის სტუდენტი-ფილოლოგი ხელ მისაწვდომ ფასებში აძლევს ფრანგულისა ლათინურისა და **სიტყვიერების გაკვეთილებს** ადრესი რედაქციაში. (10—უ.—9)

ქართული სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ,** რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია სამ თვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე.** იმავ სკოლებში: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვერაზე, ოლგისქუჩა № 52, ოლგის საბებიო ინსტიტუტის კვერდით. ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—7)

წიგნების
იაფად გაყიდვა

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე დანიშნულია დაკლებულ ფასად წიგნების გაყიდვა:

1. სურამის ციხე“, მეხუთე ახალი გამოცემა მშვენიერად 100 ც.	10 მ.
2. არსენას ლექსი, ფერადი სურათებით 100 ც.	1 20 კ
3. „ვეფხის ტყაოსანი“, მეოცე ახალი და სურათებიანი გამოცემა 100 ც.	30 „
4. „დონკიხოტი“, დასურათებული მშვენიერს ყდაში	1 „
5. დიდი „ვეფხვის ტყაოსანი“, კარგს ქაღალდზე ფერადი წამლებით დაბეჭ. მშვენ. ყდით	1 „ 50 „
6. ა. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფიით, სურათ. და მშვენიერს ძვირფას ყდაში	3 „ 50 „
7. ე. ნინოშვილის სრული თხზ. მშვენიერს ყდაში	1 „ 50 „
8. „ღალატი“, მრავალი სურათ. და ავტორ. სურათ. მშვ. ყდაში	80 „
9. სამზარეულო, სრული მშვ. ყდ	1 „ 50 „
10. ქვეყნისთვის და მეცნიერებისთვის თავდადებულნი და ტანჯულნი, მრავალ სურათებით და კარგ ყდით	1 „
11. ავქსენტი ცაგარლის თხზ. I და II ტ.	80 „
12. „საქართველოს გეოგრაფია“, ვახუშტისა, სურ. და საქარ. ქარტებით, მშვენიერს ყდით	1 „
13. „გლეხი-კაცის ისტორია“, ერკმან-შატრიანისა, მშვ. ყდით	1 „ 60 „
14. „გლეხი კაცი“, გერმანულიდან ი. პოლუმორდვინოვის თარ.	60 „

და სხვა მრავალი წიგნები. ვისაც უნდა ბიბლიოთეკა - სამკითხველოებისთვისაც ვკისრულობთ ძლიერ იაფად შევუკრიბოთ მთელი ქართული წიგნები.

ადრესი: ტფილისი, მიხაილოვის ქ. N 3. გ თავართქილაძეს. (6—6—1)

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

12—13 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

ასტარა. გუშინ, არდებილიდან 7 ვერსის მანძილზე შახსევენები თავს დაესხნენ არდებილის გუბერნატორის გამაგრებულ ბინას. მთავრობის ჯარი დამარცხდა. ჯარის ერთი ნაწილი გუბერნატორის მეთაურობით ქალაქში გაიქცა, ხოლო მეორე—შახსევენებს შეუერთდა, დაანგრიეს ბინაკი და მაღალი ადგილები დაიჭირეს. მთავრობის ჯარს იქ დარჩა ზარბაზნები, სურსათი და სხვა, მაგრამ შახსევენებმა ზარბაზნები არ წაიღეს და ტყვეებიც გაატყვლეს და გაუშვეს. არდებილის ახლო სოფლების მცხოვრებნი სულ არდებილში მიდიან.

ლონდონი. „ტაიმსს“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: რუმინიის მინისტრ პრეზიდენტმა ბრატიანომ, დაახლოვებით 22 აგვისტოს ოსმალეთის ელჩს ბუხარესტში განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთსა და ბოლგარეთს შორის შუღლი ჩამოვარდება, ყველა შემთხვევისთვის რომ მზად იყოს, რუმინია ყველა კორპუსებს ბოლგარეთის საზღვრების ნაპირზე გადაიყვანსო. მინისტრმა დაუმატა: ამ გადაწყვეტილებას უყურეთ ისე, როგორც გულწრფელ მეგობრულ პოლიტიკას კონსტიტუციონალურ ოსმალეთთან, რომლისკენაც მიისწრაფვის თვით რუმინიაო.

ურმია. ერზერუმში 7—9 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 38, მოკვდა 29.

ლონდონი. „მარნინ-პოსტ“ ს სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: კოსსლის მიერ წამოყენებული პირობები, ოსმალეთის სესხის განაღდების შესახებ დიდმა ვეზირმა აქ დეპეშით გადმოგვცა და მინისტრთა საბჭომ უკვე მოიწონა, მაგრამ ახალი პირობების გავლენით, რომელიც წამოაყენა ინგლისმა, მოლაპარაკება უცბად შესწყვიტა.

ათინა. უარ-ჰყოფენ ჰავასის ცნობებს, ვითომ საბერძნეთის მთავრობას საზღვარ-გარეთ მოლაპარაკება ჰქონდეს გამართული ახალი ჯავშნიანი გემების ყიდვის შესახებ.

თეირანი. მაზანდარანში არეულობა ძლიერდება. ემირ მუკარამი დამავენდის მიდამოებში ხარჯსა ჰკრებს. იმის წინააღმდეგ ჯარს აგროვებენ. ექსპედიციის უფროსად დაინიშნა ემირ აზამი. მუშტეხიდ მახამედ ხასანის ჭრილობა საშიშოა.

ბერლინი. საღამოთი ქ მოაბიტის ერთ ნაწილში გაფიცულ მუშებს ჩხუბი მოუვიდათ ნახშირის ფირმის მუშებთან, რომლებმაც გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს. პოლიციის ჯარმა ძლივს მოახერხა მათი გაფანტვა. დაიჭრა პოლიციის აფიცერი და მოხელე.

ვენა. ვენგრიიდან მოსულ მეზღვაურს და შტურმანს ხოლერა აღმოაჩნდათ. ბრიუნში გუშინ ხოლერით მოკვდა ერთი მუშა.

ურმია. სპარსელებმა შეიპყრეს მავანში ოსმალეთის ჯარების უფროსის წერილი რომელიც გაეგზავნა თეირანის ადმინისტრაციის მიმართ და სთხოვდა მოეწყო, რომ სპარსელების მიერ სუნიტების სამ გადამწვარ სოფლის მცხოვრებნი ოსმალეთის ქვეშევრდომებათ გადასულიყვნენ.

თეირანი. რეგენტის დაკრძალვა 17 სექტემბრამდის გადადო. იმის გარდაცვალების გამო მეჯლისი ერთი კვირით დაიხურა, სასახლეში სამთვეს იგლოვებენ. შაჰის მეჩეთში ყოველ დღე პანაშვიდებია არჩევნებზე ნასრულ მულკმა მიიღო 40 ხმა, მოუსტოუფი-ულ-მემალიკმა 28 ხმა —78 ხმიდან. სერდარ-ასადი ნასრულ მულიკის არჩევის წინააღმდეგი იყო. ბახტიარები ძალიან დამარცხდნენ. ფიქრობენ, რომ ზომიერების მიერ არჩეული რეგენტი, რადგანაც იგი ნაციონალისტურ კაბინეთს არ თანაუგრძნობ, სპარსეთში არ მოვაო.

ჰაერში ფრენა.

პეტერბურგი. ავიატორ კუზმინსკის ჰაეროპლანზე ცაფრენის დროს გაუფუჭდა საჭე. ჰაეროპლანი ხეს დაეცა და დაიმტვრა. კუზმინსკი დაშავდა და მარჯვენა ხელი მოიტეხა.

პეტერბურგი. პორუჩიკ რუდნევმა ხანგრძლივობის ახალ ვადად 2 საათი და 24 წ. შეიძინა; ეფიმოვმა მგზავრებით 400 მეტრის სიმაღლეს მიაღწია, სეგნო, რუსულ ჰაეროპლანზე „როსსია“ ორჯელ გაფრინდა; პირველად იფრინა 11 წ. ხოლო მეორედ 9 წუთი, პორუჩიკ მატიევიჩმა ბლერიოზე 1 ს. და 40 წ. იფრინა, კაპიტან მაციევიჩი გაფრინდა ორჯელ. პირველად იფრინა 42, ხოლო მეორედ 18 წუთი, ლეიტენანტ პიოტროვსკიმ ბლერიოზე ჰაერში 37 წ. დაჰყო, ბენზინი შემოაკლდა და მიწაზე დაშვების დროს ჰაეროპლანს თვლები და ფრთა დაემტვრა. პოდპოლკოვნიკ ულიანინმა იფრინა 6 წუთი, კარგად დაშვების ჯილდო მიიღო, პირველი—ეფრიმოვმა, მეორე—სეგნომ, ხანგრძლივობისა—რუდნევმა. გაჯიბრების შემდეგ ორი მგზავრით აფრინდა სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბის ჰაეროსტატი „ტრეუგოლნიკ“ და გაემართა ლადოგის ტბისკენ. გაჯიბრებას დაესწრნენ დიდი მთავრები დიმიტრი პავლეს ძე და ალექსანდრე მიხაილის ძე.

შარტრი. ავიატორი პაულიო, რომელიც მგზავრთან ერთად გაფრინდა, ჩამოვარდა, მძიმედ დაშავდა და 20 წუთის შემდეგ გარდაიცვალა. მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

რუსეთი

სოსნოვიცი. მთავარ ქუჩაზე, ადგილობრივ პოლონურ გაზეთის „კურიერის“ გამომცემლად ნამყოფმა, ზაგლემბია—მოდზელევსკიმ რევოლვერით დასჭრა იმავე გაზეთის ახლანდელი გამომცემელი კოლომბოვსკი. მიზეზი—შურისძიებაა, რომელიც გამოიწვია სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოდზელევსკის გამომცემლობიდან განდევნამ.

ვარშავა. ასეთ ცნობებს იძლევიან სახაჩევის და **გოსტინინის** მაზრაში მომხდარ თავდასხმის შესახებ: მაუზერებით შეიარაღებულმა ოთხმა ბოროტ-განმზრახველმა სოფ. ილოვის ბაზრის მოედანზე მოჰკლეს დარაჯი, დინამიტით ააფეთქეს სოფლის სამართველოს კაასა, წაიღეს 109 საპასპორტო წიგნი. იქიდან გადავიდნენ სოფ. სლუბიცეში, წაიღეს კიდევ 33 პასპორტი, მოჰკლეს ერთი დარაჯი, დასჭრეს დარაჯი და ტყის მცველი, მერე გაჩნდნენ სოფ. იულიშევოში, აქაც ააფეთქეს სოფლის სამმართველო, წაიღეს კასიდან 378 მან. შემდეგ გაემართნენ სოფ. დობრუიკოვოში, აქ ყაჩაღებმა წააწყდნენ დარაჯებს, რომელნიც იმათ უცდიდნენ, მაგრამ ყაჩაღებმა გაქცევა მოასწრეს და ტყეში დაიმალნენ.

კლეიშონი. როკაილენდის გზაზე მატარებელი წყალში გადავარდა. რკინის გზის ხიდი ნიაღვარმა წალეკა. ჯერ-ჯერობით 20 მეტი გვამი ამოიღეს წყლიდან.

ჰელსინგფორსი. სალამოს სხდომა 12 საათზე გათავდა. ვრედეს წინადადებით სეიმმა მოიწონა ტალმანის გამოსვლა და გადასწყვიტა უქვეშევრდომილესად მოახსენოს მის უდიდებულესობას, რომ ტალმანის მიერ წამოყენებულ საბუთებისა გამო სეიმი ვერ შეუდგება სეიმში წირდგენილ საკითხების განხილვას. ადრესის მომხრენი იყვნენ დანიელსონი და კოლმარი, წინააღმდეგნი—მეხელინი და სხვა 104 ხმით, წინააღმდეგ 83 ადრესი უარყვეს.

შარდინსკი. კანაშაში დაიწვა 83 მოსახლეობა და გალეწილი მოსავალი.

ვილნა. კურენცში დაიწვა 100 სახლი, სოფლის კანცელიარია და არყის დუქანი.

მოსკოვი. ჩრდილოეთ ბანკის მოსკოვის განყოფილებიდან ყალბი საბუთებით 195,500 მან. გაიტანეს. საბუთის ქაღალდი ბანკიდან წაუღია ბანკისავე მოხელეს ბელოვს, ხოლო დაუწერია და გაუკეთებია იმის ძმას. ორთავე ძმები შეიპყრეს. ფული დააბრუნეს.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრომ სკოლების საამშენებლო ფონდის საჭიროებათათვის 4 მილიონს თხოულობს დახმარება მიეცემათ სკოლების შენობების ასაშენებლად იმ ადგილებში, სადაც საყოველთაო სწავლაა შემოღებული.

ოდესსა. სამოსამართლო პალატამ საიდუმლო შეთქმულობის „ოდესის კომიტეტი ს.-რ. და აკრძალულ ლიტერატურის შენახვის გამო მიუსაჯა: სამს გადასახლება, ერთს 1 წლით ციხე, ერთს ოთხი თვით დაპატიმრება და სამი გაამართლა.

ლიბავა. გაიხსნა ებრაელების ახალ-შენთა საზოგადოების რწმუნებულთა კრება. კრებაზე გარეშეები არ დაესწრებიან.

მალმიჟი. ქალაქის და ერობის ხარჯზე და აგრეთვე კერძო შეწირულებებით გაიხსნა სასწავლებელი სავაჭრო გიმნაზიის პროგრამით.

მოსკოვი გრადონაჩალნიკმა კორესპონდენციის „მაძებარ პოლიციის ოინების მოთავსების“ გამო გაზ. „რუსკოე სლოვო 500 მან. დააჯარიმა.

ხოლერა

პეტერბურგი. დღე ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 36, მოკვდა 14, მორჩა 15, ავად არის 564.

ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა: ვიატკის გუბერნიაში, 7, მოკვდა 3, დრისაში ავად გახდა 8, კრონშტადტში ავად გახდა 8, მოკვდა 5, მოგილევის გუბ. ავად. გახდა 13, მოკვდა 8, ნიჟნი ნოვგოროდში ავად გახდა 9, გუბერნიაში, 10, მოკვდა 11, ნოვგოროდის გუბ. ავად გახდა 12, მოკვდა 3, ომსკში ავად გახდა 26, მოკვდა 14, პენზაში ავად გახდა 4, მოკვდა 2, გუბერნიაში ავად გახდა 44, მოკვდა 40, პოდოლის გუბერნიაში ავად გახდა 48, მოკვდა 16, პოლოცკში, ვიტებსკის მაზრა, ავად გახდა 11, მოკვდა 5, რიგაში, ავად გახდა 15, მოკვდა 9, ვიტებსკის გუბერნიაში მაზრაში ავად გახდა 2, მოკვდა 1, სამარაში ავად გახდა 6, მოკვდა 7, გუბერნიაში ავად გახდა 979, მოკვდა 451, სიმბირსკში ავად გახდა 14, მოკვდა 10, გუბერნიაში ავად გახდა 144, მოკვდა 103, სიმფეროპოლში ავად გახდა 2, მოკვდა 1, გუბერნიაში, ავად გახდა 70, მოკვდა 44, ქერჩში ავად გახდა 3, სტავროპოლში 1, ტამბოვის გუბ. ავად გახდა 174, ტაშკენტში ავად გახდა 2, მოკვდა 1, მაზრაში ავად გახდა 2, მოკვდა 1, კაზალინსკში ავად გახდა 12, მოკვდა 12, ტვერის გუბერნიაში ავად გახდა 1, ტიუმენში ავად გახდა 3, მოკვდა 2, ხარკოვში ავად გახდა 12, მოკვდა 4, გუბერნიაში ავად გახდა 73, მოკვდა 29, ხერსონში ავად გახდა 3, მოკვდა 1 გუბერნიაში ავად გახდა 523, მოკვდა 288, ოდესაში ავად გახდა 15, მოკვდა 11, იაროსლავლში ავად გდა 6, მოკვდა 1, გუბერნიაში ავად გახდა 17, მოკვდა 9, სმოლენსკის გუბ. ავად გახდა 30, მოკვდა 10, ჩერნიგოვის გუბ. ავად გახდა 26, მოკვდა 9, კიევში ავად გახდა 2, გუბერნიაში ავად გახდა 232, მოკვდა 99.

პეტერბურგი. დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 32, მოკვდა 8, ავად არის 557.

ერთი კვირის განმავლობაში ბაქოში ხოლერით ავად გახდა 22, მოკვდა 6, კასტრამაში ავად გახდა 6, მოკვდა 2, კასტრამის გუბერნიაში ავად გახდა 15, მოკვდა 8.

ნარკვევი

თანამედროვე რუსეთსა და იმის წესწყობილებას, იმის სადღეისო ზნესა და ჩვეულობას, იმის პოლიტიკასა და გულისთქმას, იმის მისწრაფებასა და გარეშეთათვის ე. ი. არა-რუსთათვის მზრუნველობა-ჭკუის მასწავლებლობას ბევრი ვექილ-დამცველი ჰყავს და მათ შორის უპირველესი გაზეთი „ნოვოე ვრემია“-ა. ეს ჭეშმარიტ რუსთა ჭეშმარიტი პირისუფალი ხშირადა შეალტავს ხოლმე არა-რუსთა სამართლიან მოთხოვნილებათ და მათ ასალაგმავად ხშირად კაციჭამიობასაც კი ჰქადაგებს თუნდა თავის სახელ-განთქმულ თანამშრომლის მენშიკოვის პირით... მაგრამ, ათასში ერთხელ ცხარე-ცხარე ჭათარახებს თავისიანებსაც კი გადაჰკრავს ხოლმე.... ალბად იმიტომ რომ ამ დროს ავიწყდება სამართლიანი ჩივილი არა-რუსთა და გათავისწინებული, მხოლოდ ჭეშმარიტ რუსთა კეთილ-დღეობაზე ოცნებობს.

ის, რაც სხვისათვის აკრძალულია, რის თქმის ნებას სხვას, არა-რუსთ, არ მისცემს და რის თქმისათვისაც არა-რუსთ ანძაზე ენით ჩამოჰკიდებს, „ნოვოე ვრემია“სათვის დღეს სრული და უტყუარი ჭეშმარიტება გამხდარა. სიმართლე, თქმული თუნდა მოსისხლე მტერისაგან, სასიამოვნო გასაგონია და ამიტომ არ შემიძლია ქართველ მკითხველებსაც არ გავუზიარო ეს სიმართლე, ვინაიდან ჩვენ, ისე როგორც ყველა არა-რუსნი,—რომელთაც ბედნიერობა გვაქვს რუსეთის მფარველობის ქვეშე ყოფნისა,—ყოველთვის ვგრძნობდით ამ სიმართლეს, ვგრძნობდით და ვცდილობდით კიდეც დაგვერწმუნებინა ჩვენი საერთო პირისუფალნი ამ სიმართლის სიდიადეში, მაგრამ, ჩვენ აბა, ვინ მოგვისმენს, როდესაც ჭეშმარიტ რუსთათვის არც კი ვარსებობთ ამ ქვეყნად და მათ თვალში რაღაც სასაცილო ქია-ღუანი ვართ, რომელთა გასრესაც მათის აზრით, მაინც და მაინც, დიდი ცოდვა არ იქნება.

ჩვენ მოგახსენებთ იმ სამართლისა და ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც რუსეთში სწავლა-აღზრდის საქმეს შეეხება და რომელიც თვალსაჩინოდ ლაღადებს, რომ რუსის სკოლები „კაცს ჭკუას კი არ ასწავლიან, არამედ „კაცის ჭკუას აწვალებენ“ და რამდენიმე წლის ჭაპან-წყვეტის შემდეგ ნასწავლისა და განათლებულის, ქვეყნის გულშემატკივარი მოქალაქის ნაცვლად, უფროს ერთ შემთხვევაში, ხელში გვრჩება მხოლოდ „განსწავლული მოხელე, უარისმყოფელი თავის ქვეყნისაც, თვისისაც, ტომისაც, ხალხისაც, მშობლებისაც და მაღმერთებელი **ოცის**—რიცხვისა და „ჯამაგირის გამო შემოსავლისა“.

ამას იმიტომ ვამბობ ასე თამამად, რომ „ნოვოე ვრემიაც“ სწორედ ამ აზრისაა... მაშ, ისევ იმას დავუგდოთ ყური.

ეს პატივცემული გაზეთი სწუხს რა იმ მოვლენისა გამო, რომ საერო განათლების სათავეში ამ საუკუნის უკანასკნელ ნახევრიდან მაინც რიგიანი კაცი არა მდგარა, გულის ტკივილით განაგრძობს.

ამგვარად სკოლა მიჩანჩალებს დახავსებულის გზით... ხან „გრძელდება“ მისი პროგრამა, ხან „მოკლდება“. ხან „კლასსიციზმით“ არის გაჟღენთილი ეს პროგრამა, ხან „რეალიზმით“, მაგრამ მაინც არა-რაა! კამოჭრილი, გამოკვერილი, ნაკუწებისაგან ამოკერილი და ათასნაირად ნაჯახირევი პროგრამა იგი მაინც ვერ აცოცხლებს სკოლას, სულს ვერ უდგამს მას, ვერ ათრთოვანებს...

მოწაფეთ არ უყვართ სკოლა და, რაც უფრო უმთავრესია, პატივს არა სცემენ მას.

საზოგადოებასაც არ უყვარს იგი სკოლა და არც პატივს-სცემს.

მთავრობაც უკმაყოფილოა. და ამიტომ სულ ახალ-ახალ პროგრამების შედგენას თხოულობს.

მინისტრი, რომელიც შეიძლება კარგი იურისტი, დიდებული გენერალი, ანუ ლათინურის კარგი მცოდნე იყოს, მხოლოდ პედაგოგიასს კი არა ესმის-რა, ადგენს „კომისიას“ და ყველაფერს მას ახვევს კისერზე... კომისია ადგება დათმობისა თუ კომპრომისის გზას: ან „აგრძელებს“ პროგრამას. ან „ამოკლებს“ მას და ბოლოს „თავის დადგენილებათ“ აკანონებს სკოლებში სახმარებლად. ახალი „წესდება“ მზადაა, მაგრამ იგი არავის სულს არ ახარებს, არავის მასში იმედი არა აქვს.

— კარგია კლასსიციზმი!—აღიარა უვაროვის სკოლამ.

— ცოტა კლასსიციზმი და ცოტაც ბუნების მეტყველება!—ამბობდა გოლოვინის ბებმა.

— მარტოოდენ კლასსიციზმით! ბრძანა ტოლსტოიმ.

— ცოტა მძიმედ, სიფიცხე არ ივარგებსო! [illegible] დელიანოვმა.

— შორს კლასსიციზმით—„იკამანდა“ ვანოვსკიმ.

„კლასსიციზმი შეიძლება ნასუფრალად დარჩეს, უმთავრესი კი ახალი ენები და რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული ცოდნა. გაპოხიეროსმცა ყველაფერი პატრიოტიზმმა და გულითადობამაო“! ამბობდნენ შემდეგნი,

„სასწავლებელთა“ ორთქლმავალი დაიძრა სწრაფად, აქეთ იქით ხეთქებით და კინაღამ სულ არ დაიმსხვრა.

ამ დროს გამოჩნდა მგზავრი და დაიძახა

— ტპრუუ!

მთელმა ქვეყანამ თვალები დააჭყიტა.

—ღმერთო, „რეფორმა“ მაინც მოახდინონო.

და კვლავ შესდგა ახალი კომისია—, კვლავ გამოცხვა ახალი „რეფორმა“!.. მაგრამ საქმე ხომ „პატრიოტიზმში“ არ არის, ბავშვებს „სწავლა“ უნდათ. ბავშვმა უნდა შეიყვაროს სკოლა, მისი უფროსნი, მისი ხელმძღვანელნი... ბავშვი თავის-თავს სკოლაში ისე უნდა გრძნობდეს, როგორც თავისს ოჯახში. ორ წელიწადს მაინც... 10—12 წელიწადი ეს ისეთი ასაკია ბავშვის ცხოვრებაში, რომ ადვილად მოუშხამება გული. ამ ხანში ბავშვმა არ უნდა იცოდეს რა არის სიძულვილი, ბოროტება, მწარე ცხოვრება და დაჩაგვრა. რუსულ უბედურ გიმნაზიაში კი პირველ წლებშივე ისე არეტიანებენ და სწამლავენ ბავშვებს, როგორც არაყი შხამავს ადამიანს.

ის სკოლა, რომელსაც პირველ ნაბიჯისთანავე თავს აძულებს მოწაფეს, ის სკოლა, რომელიც 10,11 და 12 წლის ბავშვებს ბოღმით ავსებს, სკოლაა გამხრწნელი სულისა და მომწამვლელი გულისა!

სწავლის საქმე მიგდებულია ღვთისა და იმ კაცის ანაბარად, რომელიც პირველ კლასის მოხელედ ითვლება, სერთუკის პოლებში ანნას ორდენი გაუკეთებია და რომელსაც გიმნაზიის მასწავლებელი ჰქვიან...

სრულ ჭეშმარიტებას ლაღადებენ ბაგენი „ნოვოე ვრემია“-სა, და, აბა, როგორ არ მოვუწონოთ, თქვენს მადლსა!..

* * *

სამსონის თმები

ძღვნად მარსიალ ფუასსის.

თავი

გ.

მიდიოდნენ მინდორ-ველად.

გოგლო და ცაბულო.

ქალაქს კარგი მიდამოები ჰქონდა. ველი კარგა ძალზე იყო გაჭიმული. ეს იყო დაბლობი, ქალა ადგილი, იაღაღად გაშვებული.

ორი წყვილი ფეხი კოჭებამდის იფლობდა ხასხას, ქორფა ბალახში.

მიდიოდნენ წინ. მათი ახალგაზდა და შემკვრივებული მკერდი თამამად მიაპობდა ზაფხულის წმინდასა და გამჭვირვალე ჰაერს. მათი სულის თქმაც უფრო გაშლილი, უფრო თავისუფალი.

რა აკავებდა?

ძირს გაშლილი ტრიალი მინდორი, ზევით გაკრიალებული, ციაგი ცა.

მხოლოდ იქით, სადღაც შორს, ჩამავალი მზის სხივები ოქროს ისრებივით შეთხზოდენ ეთეროვან ლურჯ სამყაროს.

ცელქი ნიავი უდარდელად მიმოქროდა არე-მარეზე.

ცაბულო განაგრძობდა.

— მერე თვით ცხოვრებიზე კი რატომ არასა სწერთ? მე წამიკითხავს თქვენი ნაწერები და მუდამ ან „საცოდავი ფოთოლი“ შემხვედრია, ან „ამაყად მზერი მუხა“, ან „რევოლიუციონური მდინარე“. კარგია ეგ ყველა, მესმის მაგათი მნიშვნელობა, მაგრამ თვით ცხოვრება სად არის, მძლავრი ცხოვრება თავის რკინის კანონებით, თავის ტანჯვითა და ვაებით, თივის მომავალი სიხარულით, უკეთესის მერმისით?

გოგლო აღტაცებული იყო. შეეხენ მის საყვარელ საგანს. მერე ვინ შეეხო? მისგან მოწონებული ქალი. ამ ქალის ნაზი და ნარნარი გემოვნება.

— მე კი აი რას გეტყვით:— ამბობდა თვალებ-აციმციმებული გოგლო.—არასოდეს არ ვლაპარაკობ ხოლმე ჩემს ნაწერებზე... მრცხვენია კიდეც. ნაწერების კი არა, ადამიანებისა. არავის არა სცალიან ჩემი ნაწერებისათვის. უფრო სხვა ინტერესები იპყრობთ ცხოვრებაში. ბევრმა იცის, რომ ვწერ... თვით შეგნებული და განვითარებული ახალგაზდებიც-კი... მაქებენ კიდეც ზოგჯერ, მაგრამ, როგორც კი წაკითხვაზე მიდგება საქმე, ცხადად ვატყობ სიზარმაცეს, რაღაც მოღლილობას, გულგრილობას, უყურადღებობას.., ზოგს ამთქნარებს კიდეც. მეც შემრცხვება და ვცდილობ გადავაფუჩეჩო, შევაკვეცო ფრთები ჩემს კითხვას, ნაწერი იქით გადავდო და სხვა რამ უფრო „საყველპურო“ მუსაიფი ჩამოვაგდო ხოლმე. მერე ეს მარტო ჩემს ნაწერებს კი არ ემართებათ ხოლმე, სხვებისნა წარმოებთაც. რამდენჯერ მისინჯავს. ამიტომ მრცხვენია ადამიანებისა, მერიდება და აღარ ვაწუხებ... ჩემის ნაწერებით. გიუი დე-მოპასანზე ამბობენ, რომ კერძო ცხოვრებაში სრულებით არ „უდიოდა მელნის სუნიო“. ჩემზედაც ეს ითქმის. ვერავინ ვერ შემამჩნევს, რომ წერა მიყვარს, რომ ეგ არის ჩემი სტიქიონი... ჩავიკეტე ჩემს თავში და სხვებს აღარას ვუზიარებ ხოლმე.

— ასე რომ აღარც მე გინდათ გამიზიაროთ, არა?

წარმოსთქვა ცაბულომ.

— არა. თქვენ? ხა-ხა! საკვირველი საქმე მიყავით... ერთი მწერალი ამბობს—თუ გინდათ, რომ მწერლის გული მოიგოთ, მის გულში გადასახლდეთ, უთხარით, რომ მისი ნაწერები წაგიკითხავთ, მოგწონთ და აფასებთ... ხა-ხა... ასე რომ ახლა თქვენც ჩემს გულში გადმოსახლდით...

მომღიმარე გოგლომ ეშმაკურად გადახედა ცაბულოს. ცაბულოს ეტყობოდა ცოტა შერცხვა, მაგრამ თავისი ლმობიერი თვალები მაინც თამამად გაუსწორა გოგლოს. თქმით კი არა უთქვამს-რა.

— გადმოსახლდით და აბა როგორ არ უნდა გითხრათ ჩემი აღსარება—ხუმრობდა გოგლო!—თქვენ მეუბნებით ცხოვრება სად არის თქვენს ნაწერებშიო. პასუხია—ჩამოკრულებში.—ვერ გაკმაყოფილებთ? „ჩემი რა ბრალია“, ერთი კუპლეტის არ იყოს. ვისაც ფოტოგრაფიული სურათები უნდა, მიმართოს ფოტოგრაფს, რეპორტიორს, კორესპონდენტს, კეთილ-სინიდისიერს რა თქმა უნდა. ცხოვრების „ოქმები“ უნდა, საბუთები—მიმართოს მეცნიერებას. მორალი უნდა—მორალისტებით სავსეა ქვეყანა. ეკონომიური, პოლიტიკური საკითხები აწუხებს—მზად გახლავან სოციოლოგები, პუბლიცისტები. მე კი იმას ვცდილობ ჩამოკრულით გამოვთქვა ჩემი ნაგრძნობი. ნაგრძნობი და არა ნაფიქრი. კარგა დაუკვირდით იმას. აქ ვითომ სათუო, მაგრამ დიდი განსხვავებაა. იმასა ვცდილობ, რომ შევიძლებდე... ვთქვათ ჩიტის ნისკარტი ავილოთ. მხოლოდ ამ ნისკარტის გამოხატვით სრულიად დაგანახვოთ ფრინველის მთელი აღნაგობა, მისი სიმარდე, მისი სიკისკასე, მისი ალო, აზრი მთელი მისი ცხოვრებისა. ნისკარტის მოხაზულობაში თვალწინ დაგიყენოთ მთელი სურათი ფრინველთა არსებობისა. მაგრამ თვით ეს ნისკარტიც კი არ უნდა იყოს პირდაპირ ტლანქად ნახსენები, არამედ თვით მისი გამოსახულებაც ჩემ მიერ შეჭედილ და წამოსხმულ სიტყვებთაგან უნდა იგრძნობოდეს. დიახ, შეჭედილ და ჩამოსხმულ სიტყვებთაგან. ჩემი შემოქმედება ქანდაკება უნდა იყოს. სხარტულად კალმის წვერზე მოსხლეტილი სიტყვა მარმარილოს ან ბრინჯაოს მტკიცე ნაჭერი უნდა იყოს თავისებურად გამონაკვთული და განსახიერებული. მხოლოდ სიტყვა კი დასაბუთებული უნდა იყოს შინაგანად ჩემის ნაგრძნობითა და თვით სიტყვა „მხოლოდ-ერთი“ უნდა იყოს მთელი პოემა.

— ხელოვნებაში ასეთი მიმდინარეობა, რამდენადაც ვიცი, უკვე დაბადა ევროპამ.

— არ ვიცი მე ევროპა!—ბავშურის ჟინით წარმოსთქვა თავის სიტყვებით გატაცებულმა გოგლომ.—მე თვით ესე მსურს. ეს არის ჩემი გულის ნადები. ეს თვით ჩემია და შეიძლება იმიტომაც არის ჩემთვის ეგრე ძვირფასი... მე ასე მინდა მღერა. მე არც ვიცი რა მამღერებს... ესე იგი რა მიზეზი. არც ვარჩევ მაგას... მე ვიგრძენი! ეს არის ჩემთვის უმთავრესი, ვიგრძენი და ჩემებურად მინდა ავხმაურდე, ვილაღობო. წვრილმანებს არ დაგიდევ. აქ წითელი ფერი, იქ ლურჯი, აგერ კიდევ სულ ახალი შეზავება სალებავთა. ერთი, ორი, სამი და მთლიანი სურათი უხვად გახლავთ. ეს ჩემი ნაგრძნობია. შეიძლება არა ჰგავს დეტალურად იმას, რასაც ვსახავ. მე გვანება კი არ მინდა. მინდა ის თუ რა ფერთა გარიგებულება, რა სიტყვებთა ასხმულობა, როგორი მუსიკის კილოვნება გამოიწვია ჩემში ამა თუ იმ საგანმა. მე ამას გაძლევთ. თქვენც შეიგნეთ და დასტკბით მით. თქვენ თვით გიწვევთ შემოქმედებისათვის. ამაღლდით და მოდით ჩემთან თუ გნებავთ. თუ არა და ჩვენ სხვა-და-სხვა ენაზე ვლაპარაკობთ. და საზოგადოდაც ხომ ესეა, რამდენი ადამიანია, იმდენი სხვა-და-სხვა ნაგრძნობია. თქვენ რომ მზე ესე გეჩვენებათ, მე კიდევ ისე წარმომიდგება. თქვენ რომ, მაგალითად, კაცის სახეს ასწერთ და შიგ თქვენებურს სულიერ ნასკვებს იპოვნით, მე კიდევ სულ სხვა ნაირს და ამაშია კიდეც მშვენიერება, რომ თითოეულის გემოვნება, თვალი და გრძნობა ეგრე სხვა-და-სხვაა და მრავალფერი. თუ ერთ-გვარად ვაზროვნებთ, კეთილი და პატიოსანი, ამით არა შავდება-რა, თუ არა და რას მერჩი?! მეც თავისუფალი უნდა ვიყო, შენც თავისუფალი უნდა იყო... „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა, არა მარტო ტკბილ ხმებისთვის ჩამომგზავნა ქვეყნად ცამა“. ეს დიდი ხნის ამბავია და შეიძლება საპატიოც, მაგრამ ეს უფრო პუბლიცისტს შეეფერება, ვიდრე მგოსანს. მე არც კი ვიცი რად ჩამომგზავნა ცამ. განა იცის ამ სიომ რად დაჰქროლავს დედამიწაზე? განა იცის ამ ყვავილმა რად არსებობს ქვეყანაზე?

გოგლო დაიხარა და პატარა, ლურჯი ყვავილი მოსწყვიტა.

— სულიერი კია თურმე... შეხედეთ, „ნუ დამივიწყებ“ არის... „ნუ დამივიწყებ“!..

უეცრად შესწყვიტა გოგლომ და ცაბულოს თვალებს შეაჩერდა. თითქო უნებურად შეჩერდა ცაბულოც.

— ეს ხომ თქვენი თვალებია!

ცოტა ათრთოლებულის ხმით წარმოსთქვა გოგლომ.

— ნუ დამივიწყებ! ლურჯი, პატარა, მაგრამ წმინდა და მოკრიალებული, როგორც ეს ცა. უმიწო და უზადო, როგორც ეს ჰაერი...

ქალი გარინდებული იდგა. ეტყობოდა მორცხვობას უნდოდა გაქცეოდა, მაგრამ თავი ველარ დაეღწია. თუმცა რა იყო აქ შესარცხვენი? ის გოგლოსთან იყო. გოგლო კი მოსწონდა, როგორც „პოეზიის კაცი“. ხოლო პოეზია თვითაც უყვარდა. მაშ რა ვუყოთ, რომ გოგლომ ასე მოურიდებლად მისი თვალები „ნუ დამივიწყებს“ შეადარა, ციაგ ცას. ეს ხომ ჩვეულებრივი შედარება იყო. რამდენ მამაკაცს უთქვამს ქალისათვის. განსაკუთრებით რომანებში. რომანებში ხომ ადამიანები როგორღაც უფრო თამამები არიან. შეიძლება მიტომ უფრო შეწრფა ცაბულო, რომ ამ სითამამეს არ მოელოდა გოგლოსაგან. მაგრამ მაინც ეს ხომ გოგლომა სთქვა, მას უთხრა. უთხრა არა ახალი სიტყვა, ცოტა თამამი, მაგრამ მაინც მისი ნაგრძნობი. ჰმ... ნაგრძნობი!.. ჩაეცინა გულში ცაბულოს და გაიფიქრა—რა კარგი იქნება, რომ თავისებურ კილოზე გოგლო რასმე დასწერდეს „ნუ დამივიწყებზეო“.

გოგლოც სწორედ მაგაზე ფიქრობდა. „ნუ დამივიწყებ“-ზე რამე უნდა დავწეროო და თავისებურად ჩამოკრულებით უკვე გაიბა ქსელი პაწია ესკიზისა მის თავში. თუმცა ცაბულოს არ გაუმჟღავნა თავისი მონაფიქრი.

— იცით რა!—დაიწყო მან— ერთი რამ მაკვირებს: ამდენი ხანია ქალები მწერლობენ და, ჩემის ფიქრით, თავიანთი სათქმელი არ უთქვამთ ჯერა. რაღა თქმა უნდა მამაკაციც და დედაკაციც ადამიანები

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 106.

ახალი ამბები

ტფილისი

ქართულ გიმნაზიაში. ტფ. ქართულ გიმნაზიის მეთვალყურე კომიტეტის დადგენილებით, წელს დახურულ იქმნა ამ გიმნაზიის მეშვიდე კლასი. კლასის დახურვას კავშირი აქვს ამ გიმნაზიაში უკანასკნელ ხანს მომხდარ ამბებთან.

ქალაქის მოურავის არჩევნები. 11 სექტემბერს საღამოს ქალაქის გამგეობის სადგომში ტფ. საბჭოს ხმოსანთა კერძო კრება იყო დანიშნული ქალაქის მოურავის კანდიდატის დასასახელებლად. კრებაზე გამოცხადდა 26 ხმოსანი. ამ კრებაზე ქალაქის გამგეობის წევრმა ა. მ. არღუთინსკიმ განაცხადა, რომ ქალაქში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, ვითომ აგიტაციას ვეწეოდე ჩემს სასარგებლოდ, სიმართლეს მოკლებულიაო. კრებამ მცირე თათბირის შემდეგ ბარათებით დაასახელა კანდიდატები. 16 ხმა ამოუვიდა ა. ი. ხატისოვს, ერთი ხმა ა. მ. არღუთინსკის და ერთიც—ნ. ვ. აბრამიანცს. 8 ბარათი დაუწერავი აღმოჩნდა.

სამკურნალო საზოგადოებაში. 12 სექტემბერს სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგ კრებამ მოისმინა ქალაქის ექიმის ხარაზოვის მოხსენება შავის ჭირის შესახებ. ექიმი ვრცლად შეეხო ამ საშინელ ჭირის თვისებებს და დაწვრილებით აღნუსხა ის საშუალებანი, რომელსაც ხმარობენ ოდესაში მის წინააღმდეგ. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ექიმმა ტუშინსკიმ იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ერლიხის „606“ მალიარიით ავადმყოფებზე.

ხოლერიანთა რიცხვი. სასანიტარო სამკურნალო ცნობით, 11 სექტემბრის დილის 9 საათიდან 12 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 4 ავადმყოფი, მორჩა და გამოეწერა 2, გარდაიცვალა—1, დარჩა—1.

შემოწირულება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო შემოწირულებანი: სოფელ წესის (რაჭაში) მცხოვრებ თ. შამადავლე ასლანის ძის ერისთავისაგან—„რვა ხმის ძალის პირი“, ხუცური ხელნაწერი პაწაწინა წიგნი და ერთი სიგელი, მხედრული ხელნაწერი; ივანე სვიმონის ძის ბაგრაძისაგან ოთხი მხედრული ხელნაწერი ერთ წიგნად „სიბრძნე ბალავარისა“, „ანასტასი სინელის თქმულებანი“, „გვირგვინი“ (საეკლესიო თხრობანი და „მოთხრობა უსჯულოთა მაჰმადიანთა და სიტყვის საგებელი ქრისტიანეთა მიერ“.

ხოლერა ამიერ-კავკასიაში. 1-დან 8 სექტემბრამდე ტფილისის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი, გარდაიცვალა 3. 9 სექტემბერს ერევნის გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა—2. 8 და 9 სექტემბერს ავად გახდა—7, გარდაიცვალა—2. დაღესტნის ოლქში 9 სექტემბერს ავად გახდა—6, გარდაიცვალა—3.

სამართალში მიცემა. ტფ. საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით, სამართალში აძლევენ ჩოხატაურის (ოზურ. მაზრა) ბოქაულს ტ. კალანდიას, რომელსაც ბრალად ედება ოზურგეთში ქალაქის ბოქაულად ყოფნის დროს ო. ხომერიკის გალახვა.

ქუთაის ქართულ გიმნაზიაში. წელს ქაუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლა 20 სექტემბერს იწყება.

გუბერნატორის წასვლა. გუშინ დილით ტფ. გუბერნატორი ზაქათალის ოლქში გაემგზავრა.

პანაშვიდი. კვირას, 12 სექტემბერს, კათოლიკეთა ეკლესიაში, წ. კ. გ. საზოგადოების თაოსნობით, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულ კონსტანცია ტურიაშვილის სულის მოსახსენებლად, რომელმაც მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. წირვასა და პანაშვიდს ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და განსვენებულის სხვა პატივისმცემელნი დაესწრნენ.

ფრენა ა. ა. ეიხენვალდს ოქტომბრისთვის ტფილისში მოუწვევია რუსის ცნობილი ავიატორი უტოჩკინი, რომელიც აფრინდება დიდუბის მოედანიდან.

სასამართლოში. 11 სექტემბერს ტფ. სასამართლო პალატის სესიამ ბათუმში გაარჩია საქმე ქუთაისის მაზრის მცხოვრებლებისა: ქადეიშვილისა, მიქიასი და ჩხეიძისა. რომელთაც ბრალად ედებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა. სასამართლომ ბრალდებულთ ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა: პირველს—ერთის წლით, ხოლო მეორეს—4 თვით.

მცარცველთა ბრბო. გორის მაზრის, სოფ. კოშკში ოთხი შეიარაღებული მცარცველი თავს დაესხა და გაცარცვა შემდეგი პირნი: ვასილი სოტიაშვილს წაართვეს 1100 მან., სამი ვერცხლის საათი, სამი დუჟინი შევერცხლილი მასრა, სამი ყაბალახი, ორიც ვერცხლის ქამარი და ბევრი სხვა ნივთი. სულ 210 მან. ღირებული; გარსევან გაგლოშვილს სახლში გაუტეხეს ყუთები, წაიღეს 30 მან. და ერთი შალი. გამუშ გაგლოშვილს წაართვეს 50 მან., ერთი შევერცხლილი ხანჯალი და ერთი შალი, ნიკო სოტიაშვილს წაართვეს 38 მან. და 10 კ. ვერცხლის მასრები, 40 მან. ღირებული, ორი ხანჯალი და ვერცხლის ქამარი. მიხა გაგლოშვილს გაუტეხეს ოთხი ყუთი, წაართვეს 7 მან., ვერცხლის მასრები, ორი ვერცხლისა და ოქროს საათი, ერთი ვერცხლის ქამარი და ორი ფაფახი, სულ 110 მან. ღირებული. სოფ. კოშკის მღვდელს სულ ერთიანად აუქოთეს სახლი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს და მუქარით მოსთხოვეს 300 მან, მღვდელს 300 მან. არ მოეპოვებოდა და ყაჩაღებმა წაიღეს იმისი უკანასკნელი 8 მან., ხოლო წასვლის დროს მცარცველებმა უბრძანეს მეორე დღისთვის მოემზადებინათ 200 მან. მცარცველებთა შორის დაზარალებულთ იცნეს ნიკოლოზ ბატიევი, რომელიც უკვე შეიპყრეს. სხვა ბოროტმოქმედების შესაპყრობად ზომებია მიღებული.

მოწერილი ამბები

ვენა. სამშობლო მხარეს მოშორებულთ გაზეთებმა გვიან მოგვიტანეს სამწუხარო ამბავი ჩვენის საყვარელ მსახიობ-ქალის, ქართულ სცენის სიამაყის ნატალია გაბუნია-ცაგარელის გარდაცვალების შესახებ.

სამშობლო სცენასთან ერთად ჩვენც გულდაგლოვთ ნატოს უდროოდ გარდაცვალებას.

ვენის და ლეოზენის ქართველები.

—

სამეგრელო. (ზუგდიდის მაზრა) ს. ნიკოსიის, კახათის და თირემე-ჯოდჯაანის გლეხები დიდ გაჭირვებას განიცდიან საძოვარი ადგილებისა გამო. ეს ადგილები, რამდენიმე ასი დესიატინა—თ. მინგრელსკის კუთვნილებაა. უწინ ეს ადგილი დაფარული იყო გაუვალი ტყით; შემოსილი დიდრონი მუხის ხეებით და სავსე ყოველგვარი ნადირით. მაგრამ შემდეგ ტყე გაჩეხეს და ადგილები საყანე მინდვრებათ აქციეს, ხოლო რაც გამოივიტა, ეს მინდვრებიც საძოვრებად იქცა.

აღნიშნული სოფლების გლეხები იმ თავიდგანვე უფასოდ სარგებლობდნენ ამ საძოვრებით, მაგრამ მიმდინარე წელს თ. დადიანის მოურავებმა გლეხებს საბალახე დალა მოსთხოვეს. ნებით რომ ვერას გახდნენ, გააკეთეს დიდი ფარეხი, სადაც საძოვარ მინდვრებზე დანაჭერ საქონელს ამწყვდევდნენ და მერე ამ საშუალებით პატრონებს საბალახოს ართმევდნენ. ეს მოხდა გაზაფხულზე. სწორედ იმ ხანებში დ. ზუგდიდში ჩამოვიდა ნაფიცი ვექილი, ფ—ა რომელმაც აგენტების საშუალებით ჩააგონა გლეხებს, რომ ისინი უკანონოდ იყვნენ დასჯილი, ვინაიდან საძოვრების უფასოდ სარგებლობის უფლება გლეხების უხსოვარი დროიდან ჰქონიათ და რომ მას შეუძლია დაიცვას გლეხების ეს უფლება, თუ კი ეს უკანასკნელნი ამ საქმის წარმოებას მას მიანდობენ. შეიქნა ვაჭრობა და მორიგდნენ 1200 მანეთზე. ნახევარი ამ ფულებისა ე. ი. 600 მანეთი გლეხებს იმ თავითვე უნდა ჩაებარებინათ ფ—ის ხოლო მეორე ნახევარი—საქმის გათავების შემდეგ. ხსენებული 600 მანეთი გლეხებმა პირობისამებრ მაშინვე ჩააბარეს ვექილს, ვექილმაც ეს ფულები ჩაიჯიბა და გასწია, ვითომც საქმის გასაკეთებლად. ნამდვილად კი, ჯერჯერობით, გლეხებისათვის არაფერიც არ გაკეთებულა და აწი ვრახთ რა გაკეთდება. მხოლოდ ბ. ფ—ს კი ჰქონდა გაბედულება, ორი კვირის შემდეგ პირველ ფულის მიღებისა, მოეთხოვა გლეხებისაგან შეპირებული ფულების მეორე ნახევარიც. აქ კი გლეხები ჩაუკვირდნენ თავის მდგომარეობას და საქმის გათავებამდე ფულის მიცემაზე მათ გახსნილ ვექილს ცივი უარი სტკიცეს. საინტერესოა, რით გათავდება ეს საქმე! **ფ. უ. ცაიშელი.**

—

სოფ. ვანი—საჩინო. (ქუთ. მაზრა) რამდენადაც ეს სოფელი მდებარეობითა და ჰავით მშვენიერია, იმდენად იგი ჩამორჩენილია კულტურის მხრივ.

იმ დროს, როდესაც ცხოვრება დღითი დღე წინ მიდის და ვითარდება, ვანელების უმრავლესობას თავიდან ვერ მოუშორებია ძველი ჩვეულება და თავის დროს სამიკიტნოებსა და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში ატარებს; ბანქოსა და ცეკვა თამაშს გადაჰყოლია.

იმ დროს, როდესაც, უგზოობა სულსა ჰხდის ვანელებსა და ახლო-მახლო სოფლებს, გზის გაკეთებაზე არავინა ზრუნავს.

იმ დროს, როდესაც ჩვენი სოფელი მოკლებულია სკოლისა და სამკითხველოის გაუმჯობესობას, ხოლო ფოსტასა და საავადმყოფოს სრულიად, ვანელები „ჭარიალალის“ გაიძახიან და აინუნშიაც არ იგდებენ ასეთ საჭიროებათ.

არის აქ ითითო ოროლა შეგნებული კაცი, მაგრამ მათი რჩევა და დარიგება ვანელებზე არ მოქმედობს. ყველა ასეთ ჩვენ სიგლახეს ერთი უბედურებაც დაერთო. ახალის ეკლესიის აშენებისა გამო, ვანი ორად გაიყო. დღეს ორი ვანია: „ზედა ვანი“ და „ქვედა ვანი“.

ორი წლის წინად ამ სოფელმა განიზრახა ახალი საყდრის აგება ძველის ადგილზე. როდესაც ყოველისფერი ისე შემზადდა, რომ ხუროთმოძღვარი უნდა საქმეს შესდგომოდა, ამ დროს ორი სამი ვაჟბატონის მეთაურობით „ქვედა ვანმა“ გამოუცხადა „ზედა ვანს“ უთანხმოება საყდრის აშენებაში, და განიზრახა საკუთარის აშენება. ამ შემთხვევამ ბევრი უსიამოვნება შემოიტანა ამ ხალხში. ორივე მხარე ცდილობდა თავისი გაეტანა.

საქმე ასე მოეწყო: როდესაც „ქვედა ვანმა“ სასაფლაო იკურთხა ადგილობრივი არქიელის ნებართვით და ემზადებოდა ახალი საყდრისათვის მასალას ამ დროს „ზედა ვანმა“ უკვე ჩაიბარა კანტორისგან დაკანონებული საქმე, რომლითაც ქვედა ვანელებს ეკრძალებათ საკუთარი საყდრის აშენება. საყდრის აშენება შესწყდა. ამის შემდეგ ზედა და ქვედა ვანელების ურთიერთობა გამწვავდა. განსაკუთრებით ქვედა ვანელებმა უკიდურესობამდე მიაღწიეს: არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ კი მიცვალებულები ახალ სასაფლაოს მიაბარონ. საეკლესიო მასალაც ქვედა ვანელებმა ერთად შეაგროვეს და ზედ ხის ჯვარი აღმართეს. დღეს ყოველ მიცვალებულს ამ ქვების გროვას, ვითომდა საყდარს, შემოატარებენ ირგვლივ და შემდეგ დაკრძალავენ ხოლმე.

ამ ცოტას ხანში ერთი მღვდელი კინაღამ წუთისოფელს არ გამოასალმეს, რადგანაც უარი სთქვა ამ გვარ ჩვეულების აღსრულებაზე.

დრო არის შეიგნონ ვანელებმა, რომ სამთო საქმეში ჯიბრობა და შუღლი არ უნდა იყოს. უმჯობესი იქნება რომ ორივე უბნელებმა ერთმანეთს მეზობლურად ხელი გაუწოდონ და მორიგდნენ, ხოლო ძალა და გამჭრიახობა კი მოახმარონ სოფლისათვის სასარგებლო საქმეებს... **ვანელი.**

თეატრი და ხელოვნება

დ. ონი. 7 სექტემბერს, სამშაბათს საღამოს ონის სცენაზე წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის ცნობილი დრამა: „ციმბირელი“: სოფელ სომიწოში შემდგარ სცენის მოყვარეთა ჯგუფის მიერ.

წარმოდგენის წინ თეატრში მოხდა ერთი ღირს შესანიშნავი და სოფლის ბატონ-პატრონთა დამახასიათებელი ამბავი: ს. სომიწოდან ჩამოსულ ჯგუფს დაექირავებინა ონის საკრებულო დარბაზი ერთ წარმოდგენისთვის 15 მანეთად, რა თქმა უნდა თავის სკამებით და მოწყობილობით. სკამები უკვე ნომრებ წარწერილი და რიგზე დალაგებული იყო. ის, ის იყო ხალხი უნდა დამსხდარიყო და წარმოდგენაც დაწყობილიყო, რომ შემოვარდა ადგილობრივი მოხელე პოლიციისა, დასტაცა ხელი ამ დალაგებულ სკამებს და მთელი პირველი რიგი გაიტაცა კარტის სათამაშო ოთახში. აქ სამართლიანად შენიშნა ბ. იაშვილმა, რომ ეს საქციელი თქვენი შეუფერებელია, რადგანაც ადგილები უკვე გაყიდულიაო. მოხელემ იუკადრისა ეს შენიშვნა „ვილაც ფერშლიდან“, მას გამოექომაგა მისი დამქაში და ამფსონი, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გაჩეჩილაძე თავის მეუღლით. ბ. იაშვილიც რა გრძნობდა თავის სიმართლეს, აღარ უთმობდა მათ და საქმე კინაღამ იარაღზე მიდგა. ბოლოს როგორც იქმნა დავაშოშმინეთ აღელვებული მოხელეები.

მგონია და ცხოველთა სამეფოში ქალს მამა-კაცზე უფრო დაბალ საფეხურზე არ ვაყენებ, როგორც ეს სჩვევიათ ზოგიერთ მამა-კაცებს, მაგრამ ისიც კარგათ მესმის, რომ როგორც ფიზიკურად ისე ფსიხოურადაც, მათ შორის განსხვავება არსებობს. ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას შეიძლება მამა-კაცი ერთის მხრით უყურებდეს და დედა-კაცი კი მეორე მხრით. საზოგადოდ საქმე ხომ შეხედულებაზეა ჩემი ფიქრით. საიდან უყურებ საგანს, რომელი მხრით, რა ადგილი გარგუნა შენმა მდგომარეობამ. ქალიც, მე მგონი, ესეთ „სხვა მხარეზე“ დგას და მას კი მისი შეხედულება ჯერ-ჯერობით არ წარმოუთქვამს. არიან და იყვნენ დიდად ნიჭიერი მწერალი ქალები, მაგრამ ისინიც მამაკაცურად ასურათებდნენ ცხოვრებას და ბუნების მოვლენებს. მაგ. სიყვარულიც, შეყვარებაც იმათ თვალსაზრისით აქვთ მოთხრობილ და ახსნილ, როგორც მამაკაცებს. არ დავიჯერებ, რომ ქალს თავისებური შემეცნება არ ჰქონდეს, თავისებური მგრძნობელობა.—მე მინდა ქალებმა გადმოგვცენ თავიანთი ნაგრძნობი. მამაკაცს თავის დღეში არ შეუძლიან აგვიწეროს ქალის სულისა თუ სხეულის მდგომარეობა ისე, როგორც ქალს. მამაკაცი შეიძლება დაუახლოვდეს საგანს და დიდის გამჭვრეტელობით გაისაზროს და აგვიწეროს ესე ვითარი. მაგრამ ეგ მაინც სინამდვილე არ იქმნება, აი სად არის საჭირო რეალიზმი. რეალიზმი ნაგრძნობთა. მე კი ქალის ნაწერებში ნამდვილ ქალურ აზროვნებას და სურათთა გაშუქებას არ შევხვედრივარ. აი თქვენც სწერთ ხოლმე...

— ოო, აბა რას ამბობთ!—გაწითლებულმა შეაწყვეტინა ცაბულომ—ორიოდე ლექსი საბავშო ჟურნალში მოთავსებული...

— ეგ სულ ერთია. თქვენა გაქვთ უნარი მწერლობისა, გამოთქმისა. რად არ გამოსთქვამთ იმას, რასაც გრძნობთ, როგორც ქალი?

— მე ამაზე სრულებითაც არ მიფიქრია..

— უთუოდ. არა, მე კი არ გაძალებთ—გინდათ თუ არა უსათუოდ ჩემის პროგრამით სწეროთ მეთქი. ეგ თქვენი საქმეა, თქვენი თავისუფალი შემოუზღუდველი შემოქმედების საქმეა. მე მხოლოდ ჩემი გაკვირვება გადმოგეცით, თუმცა... ამას წინად შემხვდა ამ გვარი რამეც... ეს დიდი ბრაუნის ნაწერებია. მართლაც საკვირველადა სწერს. „მამაკაცური“ ნაკლებ ახლავს მის ნაწარმოებს. ვიცი კიდევ ელეონარა დუზეს „სული ობოლი“. იქაც ყოველ ფრაზაში ქალი გამოსჩანს. ქალი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. მაგრამ მე მგონია, კიდევ ის არ არის, რაც უნდა იყოს. ქალს არ უთქვამს ჯერ თვისი სათქმელი...

— ეგ არაფერი ახალი ამბავია—გააწყვეტინა ცაბულომ—ქალს სადა აქვს ისეთი ფართო ასპარეზი ცხოვრებაში, რომ თავის, „საკუთარი“ მსჯავრი დასდოს საგნებს. განა თვით განუცდია ქალს ცხოვრებაში ზოგიერთი ისეთი მდგომარეობა, რომელსაც მამაკაცი განიცდის დღეს-დღეობით? განა, მაგ. ქალი ყოფილა დღეს-დღეობით სახელმწიფო საქმეებში გარეული, რამე საზოგადო ან სახელმწიფო დაწესებულებათა სათავეში? განა ქალი, ჩვენში მაინც, ყოფილა ან პროფესორად, ან მოსამართლედ, ან ვექილად? განა მის წინ დაკეტილი არ არის თითქმის ყველა კარები საზოგადოებრივობისა!.. ამიტომაც ქალს რა გასაკვირია, რომ ბევრ რამეზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდეს ან და ისე აზროვნებდეს, როგორც მამაკაცი, მისი თვალით უყურებდეს, მისი ყურით ისმენდეს. თვითონ ხომ ჯერ პირდაპირ მას არ უგრძვნია და არ განუცდია ბევრი რამ ჩვენს ცხოვრებაში ამიტომაც საიდან შეადგენს თავის „ნაგრძნობებს“, როგორც თქვენ ამბობთ.

— კი, მაგრამ, რაც უგრძვნია, რაც უნახავს, ის რაღად გამოუხატავს „მამაკაცურად“?

— ხომ ხედავთ, თვითონ თქვენ მოიყვანეთ ლილი ბრაუნი და ელეონორა დუზე... მშვენიერი მაგალითია. ერთი სოციალისტია, მეორე მსახიობი-ქალი. სადაც კი ხელი მიუწვდათ ქალებს, ხომ გამოუყენებიათ, უთქვამთ თავისი სათქმელი. თუნდა ამ ორის მეტს არც კი ეფიქროს „ქალურად“. მაინც ეს ორი პირველი მერცხალია მომავალ დიდებულ გუნდისა... როდესაც ქალი სრულიად თავისუფალი იქმნება მამაკაცთა მონობისაგან, როდესაც იგი პირდაპირ გაებმება ცხოვრების უღელში და მამაკაცთან ერთად შექმნის ჰარმონიულს, სრულს არსებობას...

ცაბულოსა და გოგლოს, ორივეს, თვალები შორს წაუვიდა.

სიჩქურე ეწვია ორივეს გულსა და გრძნობას, თითქო შორეულს გარიჟრაჟში ესახებოდათ საუცხოვო სანახავი მომავალისა.

მაგრამ მათ ირგვლივ კი, აწმყოს სინამდვილეში სიბნელე ჩამოწვა, თუმცა იდუმალ შუქთაგან გასხივოსნებული კი.

მათაც უქციეს პირი ბუნების სხიოსან სიბნელეს და გასწიეს ქალაქის ხელოვნურ, ბნელ-სინათლისკენ.

— საკვირველი სიმართლე წარმოსთქვით.

დაიწყო კვლავ გოგლომ ცოტა ფიქრის შემდეგ.

— უმეცრებაა საქმე. ქალებმა არ იციან ბევრი რამ... უმეცარნი არიან... მაგრამ განა მარტო ქალები არიან უმეცარნი?.. იმათ მიეტევებათ მაინც ზოგ რამის არ ცოდნა. საქმე ის არის, რომ თვით ჩვენ მამაკაცებიც ხშირად პირდაპირ უვიცები ვართ. მე ვამბობ ამ ხელად იმ მამაკაცებზე, რომლებიც მწერლობას ეწევიან. ო, როგორი უცოდინარობა შეგხვდებოდათ ხოლმე მათ შორის. მოუმზადებლები ვართ, უსისტემონი. ამიტომაც ჩვენი ნაგრძნობები ეგრე ღარბია, ხშირად წყალ-წყალა. ნაგრძნობებშიაც ზურგს უკან მტკიცე ცოდნას უნდა გრძნობდეთ. როდესაც თუნდა სულ პაწია ესკიზს კითხულობთ, სტრიქონებს გარედ დიდი „ერუდიცია“ უნდა იდგეს, ესკიზის ყოველი ფრაზის, ყოველი სიტყვის გამამტკიცებელი. თუმცა არის ისეთი მწერალიც, რომელიც განგებ მალავს თავის ცოდნას განგებ აკვეცს ბოლოს ნაწერს, განგებ არ ხსნის რაიმე მოვლენას, განგებ არ გადაშლის სურათთა წვრილმან მხარეს, თითქო დაუდევრადა ქმნის, მაგრამ ეს ერთგვარი ზე-აწეულობაა, მაღლამდგომობა და ესეთ სიტყვა-ძუნწ ცოდნასა და მრავალ-სიტყვიან უცოდინრობას გარჩევა უნდა და გამორკვევა. კი... ჩვენში, ასეთი მოვლენა იშვიათია. ე. ი. მკოდნე და მეცნიერი, მაგრამ სიტყვა-ძუნწი მწერალი. ე. ი. ნამდვილი ხელოვანი. რომელსაც არ ეშინია თავის ნაწერისა, არ ეშინია ზოგიერთ ბუნდოვნების, რომელსაც ფრთები, თამამად და ფართოდ აქვს გაშლილი და ამაყად მინავარდობს ცის სივრცეში.

— მე მაინც არ გეთანხმებით ერთ რამეში...—ჩამოართვა სიტყვა ცაბულომ—აი თქვენ სულ ნავარდობაზე ამბობთ, სილაღეზე, ნაგრძნობებზე. ამბობთ, რომ მცოდნე მწერალი ზოგჯერ განგებ მალავს თავის ცოდნასაო. ვერ გამიგია! როგორ ამბობს. რუსთაველი ცოდნის შესახებ? ხომ გახსოვთ?

— „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისაო!“—მოაგონა გოგლომ.

— დიადი! თუ „არა ვიქმ.“ თუ არ გავაგებინებ სხვებსაც, თუ არ გავუზიარებ მათაც ჩემს ცოდნას, თუ არ ავუხსნი და გავურკვევ საკითხებსა უმრავლესობას.. მე მაინც იმ აზრის მომხრე ვარ, რომ მწერალი მასწავლებელი უნდა იყოს.

— აპაპაპა! მოძღვრება, მასწავლებლობა ეგ სასწავლებელში ქნიდა, ეკლესიაში. ხელოვნება კი ტაძარია, მაგრამ იქ კათედრა არა სდგას, არ უნდა იდგეს. იქ სამსხვერპლოებია მხოლოდ და ვისაც როგორი უნდა ისეთ ზვარაკსა სწირავს. იქ კი არ ასწავლიან, მგრძნობელობენ, იქ თავს კი არ იმტვრევენ, ნეტარებენ. იქ კი არ სწუხან, განსცხრებიან. ჩემის ფიქრით შეცდომაც იმაშია, რომ ზოგიერთებმა მშვენიერების ტაძარში თავიანთი ტლანქი კათედრა შეიტანეს და იმიტომაც არის ამდენი ხანია ეგეთი აურ-ზაური ატეხილი. არ იციან მართლა ამ ტაძრის კუთვნილებაა ეგ კათედრა თუ შემდეგ შემოტანილი. ნაკეთობაზე კი თითქო არ ეტყობა. მთელი ტაძარი და მისი ტრაპეზები საუცხოვო რამ ქმნილებაა კაცის ნაგრძნობისა და ხელისა, ეს კათედრა კი მათ შორის უბრალო დურგლის „გაჩლონგილ“ განჯინასა ჰგავს... ჩემ თვალებსაც ეგრე ეჩვენება. მაგრამ აი არიან სხვა თვალებიც და ეს საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია...

გოგლო ცოტა ჩაფიქრდა, მაგრამ ისევ დაიწყო:

— ხელოვნება განპარტოებულია, ის თავით თვისით უნდა იყვეს მშვენიერი. იგი თვით მიზანია... და დაე, ცხოვრებაში იაროს თავის გზით: იტანჯონ ადამიანები, მიესწრაფონ დიდებულ იდეათა განხორციელებას, ასწავლონ და მოძღვრიდენ, გაამეფონ დღეს ერთი მორალი, ხვალ მეორე, განავითარონ თავიანთი ტეხნიკა და მექანიკა, გააუმჯობესონ სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიურ-სქესობრივი და სხვა მათი საჭირო მდგომარეობა, დაამყარონ ქვეყნად სამოთხე, ხელოვნების ტაძარი მაინც შეურყევლად თავისთვის იდგება... „იცვლება დროში ქარ-ამინდები, დროს უძლებს მხოლოდ პირამიდები!“.. პირამიდებიც შედარებით დროებითია და ხელოვნების ტაძარი კი უკვდავია, სამარადისო. მეც ამ ტაძრისკენ მიიწევს გული, სული და გრძნობა... ამიტომ არა ვარ მქადაგებელი, ამიტომ ვნაქვთიერდები მხოლოდ ნაგრძნობებში...

— ნაციონალისტები რომ დაგიწუნებენ?—ცბიერად შეეკითხა ცაბულო.—რა დროს ნაქვთიერება და ნაგრძნობებია, სამშობლო იღუპება...

— ოო, „გმირთა სავანე“, „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ჩემთვისაც უცხო რამ წალკოტია—წარმოსთქვა გოგლომ—დღეს მრავალტანჯული, ლეჩაქ-ახდილი, განაწამები“, მაგრამ მაინც „ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა“. ტყუილა წუწუნებენ ზოგიერთნი,—დავკნინდით და გავმცონარდითო. ეს შეიძლება ერთი ჯგუფი, გადაგვა-

ამ ბოლო ამბავმა ცოტა არ იყოს აღელვა მოთამაშენი და საზოგადოება ჰფიქრობდა წარმოდგენა უფერულად ჩაივლისო, მაგრამ მოთამაშეთ ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს და პიესა საერთოდ კარგად იქმნა ნათამაშები. კარგნი იყვნენ ი. იაშვილი ციმბირელის როლში, ა. იაშვილი ტრ. ბალდანიჩის როლში,—პეტუას როლში ვ. მეტრეველი და მაშოს როლში კ. იაშვილის ქალი. ამათ ჩემის აზრით სასცენო ნიჭი ეტყობათ და თუ ყურადღებით იქნებიან, კარგი მომავალი ექნებათ.

საზოგადოება დიდი მადლობელია სცენის ჰოყვარეებისა და ამ წარმოდგენის გამმართველ ჯგუფისა.

ფრთნელი.

უცხოეთი

მაგდენბურგის პარტეიტაგი

არამც თუ მარტო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, არამედ მთელი გერმანია მოუთმენლად ელოდა მაგდენბურგის პარტიულ კრებას, რომელიც ხუთ ამ თვეში დაიწყო. ეს კრება, მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ კრებამ უნდა განიხილოს საკითხი ბადენის ფრაქციის საქციელის შესახებ.

ბადენის ფრაქციამ, ნიურენბერგის პარტიულ კრების დადგენილების წინააღმდეგ, ხმა მისცა მთავრობის ბიუჯეტს (ხარჯთ-აღრიცხვას)

ამან დიდი მითქმა-მოთქმა და კამათი გამოიწვია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

მაგდენბურგის კრება, მით უფრო საგულისხმო და საყურადღებო გახდა, როდესაც კრების მომხსენებლად მხცოვანი ბებელი-ავგუსტ ბებელი აირჩიეს.

მაგდენბურგის პარტეიტაგმა 451 დელეგატის (რწმუნებულის) განცხადება მიიღო. ასეთი რიცხვ მრავალი განცხადება აქამდე არც ერთს პარტეიტაგს არ მიუღია, მაგალითად ლეიპციგის პარტეიტაგში მხოლოდ 339 რწმუნებული იყო, 1890 წელს კი, როდესაც ბისმარკის პოლიტიკა დაეცა და სოციალ-დემოკრატებმაც უფრო თავისუფლად ამოისუნთქეს, გალლეს პარტეიტაგს მხოლოდ 420 რწმუნებული დაესწრო.

ის მაგდენბურგის [illegible] პარტეიტაგზე, [illegible] ე. -451 რწმუნებული, [illegible] ენელია 722,830 [illegible] ნიზაციის წევრება, [illegible] როდესაც წარსულ წლის ასეთი ორგანიზაციათა წევრები მხოლოდ 633,307 იყო. ერთის წლის განმავლობაში პარტიას 100,100 წევრი მომატებია.

მას მერე, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ფეხი მოიკიდეს რევიზიონისტებმა, მთელი პარტია ორ ბინაკად გაიყო.

მაგდენბურგის პარტეიტაგში, სხვათა შორის, ისეთი მწვავე რეზოლუციებიც არის წარდგენილი, რომელიც მოითხოვს რომ სასტიკი გაკიცხვა გამოეცხადოს „დისციპლინის დამრღვევს" ე. ი რევიზიონისტებს.

ბადენის ლანდტაგმა,—ნათქვამია ამ რეზოლიუციებში—თავისის საქციელით დაარღვია პარტიულ წესიერების უაღრესი მოთხოვნილება და მოვალეობა და ამითი—თავისი თავი პარტიის გარეშე გამოაცხადა.

როგორც ხედავთ, ამ რეზოლიუციების მომხრენი რევიზიონისტები პაარტიიდან გარიცხვასაც კი მოითხოვდნენ.

თავისის მხრივ ტანდენოსა და ვიურტემბერგის ორგანიზაციები თავს მართლულობენ: „ასეთი ნაბიჯი დროის პოლიტიკურ მომენტის შესაფერად მიგვაჩნდაო".

რითი დაბოლოვდება ეს პარტიული შინაური განხეთქილება?

ეჭვი არ არის, რომ პარტეიტაგი ნიურენბურგის დადგენილებას არ შესცვლის.

მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ რევიზიონისტები ისევ პარტიის წრეში დარჩნენ.

ამისი თავმდები ისაა, რომ საქმის ომხსენებლად ბებელია რომელიც ყოველთვის უფრო შინაურ შეთანხმება-მორიგების მომხრეა, ვიდრე გათიშვისა და ძალთა დაქსაქსვისა

ბრძოლა ტრესტებთან.

ამერიკის შტატების პრეზიდენტმა, ტაფტმა განკარგულება მოახდინა, რომ გაუქმებულ იქმნეს შაქრის მექარხნეთა ტრესტი. ტრესტს აბრალებენ, რომ ათასგვარ გაიძვერობას ხმარობს, და ვაჭრობის თავისუფლებას ხელ-ფეხს უბორკავს. ამას წინად ერთ მექარხნეს 2 მილიონი დოლლარი გადაუხადა ტრესტმა. მექარხნე უჩიოდა, რომ ტრესტმა დამღუპა და დ მანიავაო.

რეზის გზაზე მდგომი, თირემ ერი, რომლის გულშიაც ამდენი სათავისუფლო სურვილი ყოფილა მომწყვდეული, რომლის გონებაშიაც ამდენი სიმკვირცხლე და ძალ-ღონე ყოფილა დამარხული, რომელმაც ამდენი მხნე და შეუდრეკელი გმირები მოგვცა ახლო წარსულშიაც, განა ის დასატირებელია და გამოსაგლოვი?! რამდენი მშვენიერება შეუქმნია ჩვენს ხალხს, მის ჰენიას ამ მშვენიერსავე ბუნების წიაღში და ნუ თუ იგი არ იქმნება ჩემი სათაყვანო, ჩემი საყვარელი! მთლად მისი ცხოვრება ერთი დიდებული ლეგენდაა კაცის სულის სიამაყისა, ქედ-მაღლობისა და ჩემს ნაგრძნობებს აბა საით გაექცევა ეს მშვენიერება? განა ამირანი ამ ხალხმა არ დაბადა? განა მის წიაღში არ არის იგი მიჯაჭვული, „კავკასიის მაღალ ქედზედ"? და განთავისუფლებაც თუ უწერია, აქ არ უნდა მოხდეს? მაშ სხვაგან სად? მე სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ იგი მშვენიერია. მშვენიერია ბუნებით და მშვენიერი ხელოვნებით. ჩემი ნაგრძნობებიც უფრო ხშირად მათ გარშემო ტრიალებს და აქ რომ „ამირანი" მახსენდება, იქ მის „მიწა-წყალი" მიჩქროლებს გულსა.—ჰა, ჰა!—ჩაიცინა და ჩაჩუმდა გოგლო.

უკვე შედიოდნენ ქალაქში.

ეტლების ხრიალი, ქვეითთა ფუსფუსი, დარაბების რახა-რუხი, ლამპრებთა ბრჭყვიალი უკვე უფრო თვალ-საჩინო და საგრძნობი გახდა.

— საკვირველი კაცი ხართ!..— დაიწყო ცაბუდომ—თავისებურად გაქვთ ყოველივე გათვალისწინებული.

— არა,—თითქო წყენით წარმოსთქვა გოგლომ—გათვალისწინებული?.. ჰო! ეგ შეიძლება ჩემი ნაკლიც იყოს, მაგრამ მე მგონია, რომ არაფერიც არა მაქვს გათვალისწინებული და ეს... მახარებს... თუმცა საკვირველი სწორედ თქვენა ხართ. ამდენი რამ გაგიზიარეთ დღეს. არასოდეს არავისათვის არ გადამიშლია ამ მხრით ჩემი გული. თქვენ კი თითქმის მთელი ჩემი გულის ნადები გაჯმოგეცით. მართალია, უსისტემოთ, იქა-აქა, როგორც სიტყვამ და გარემოებამ მოიტანა, მაგრამ მაინც ბევრი რამ გაგიზიარეთ. „რათა?.. თქვენთან ისე თავისუფლად ვგრძნობ თავსა... მერე კიდევ უთუოდ გამეხარდა, რომ ჩემ საყვარელ საგნებზე შევიძელ ლაპარაკი... ხომ გახსოვთ! ვერსად, ვერსად ვერ ვლაპარაკობ ხოლმე ჩემს საყვარელ საგანზე. მეშინია დაცინვისა. არა სცალიანც ამისათვის. და ზოგჯერ კი სულთ-ზიარობა ისეთი საჭიროა, ისეთი, რამ...

გოგლომ პირი მიიბრუნა ცაბულოსაკენ, თითქო ქუჩის სინათურებით ოდნავ გაშუქებულ სახეზე უნდოდა თავის სასიამოვნო რამ ამოეკითხნათ.

ცაბულომ არა უპასუხა-რა, მხოლოდ შემდეგ, კარგა ხნის მერმე თითქო უნებლიედ, თითქო თავისთვის წარმოსთქვა:

— А врядъ-ли есть родство души...

ეტყობოდა ეს ფრაზა დიდ-ხანს უტრიალებდა თავში, რომ შემდეგ ეგრე მექანიკურად წარმოსთქვა ენამ.

ცაბულოს ბინას მიაღწიეს კიდეც.

ახალგაზრდათა ხელები გამოსათხოვრად შეერთდნენ. თითებში ერთლავდა რაღაც სანეტარო ნაკადული.

გოგლო ამჩნევდა, რომ ახლად ათქვირებული ძუძუები ხშირი სულთქმისაგან კრთოდნენ სანეტაროდ. მას უნდოდა რაღაც მეტად მშვენიერი სიტყვა ეთქვა ამ ქალისათვის, ამ ნაზ არსებისათვის, რომელმაც ამ საღამოს ესე უჩვეულოდ გაატარებინა დრო, ეთქვა სიტყვა მადლობისა თუ ალტაცებისა, მაგრამ იქვე მყის გაჩნდა მისი დიდი ხნის მეგობარი მორცხვობა და გრძნობის კალთაზე მაგრად ჩამოსწია.

შალვა დადიანი.

(შემდეგი იქნება).

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—180

გამოვიდა და იყიდება ქ. შ. წ. კით. გამ. საზოგადოებისა და სხ.

✦ წიგნის მაღაზიებში ✦

დუტუ მეგრელის

ნაწერები

I წიგნი **ლექსები** . . 70 კაპ.
II წიგნი **მოთხრობები** . 70 კაპ.

ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების" რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით:

Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили.

(10—დ-მ.—2)

2 კოსტიუმი 5 მ. 25 კ.

ვგზავნით გასავრცელებლად 5 მ. 25 კ. შემდეგ 2 შემოდგომის ან საზამთრო საკოსტიუმო ნაჭერს: 1) 4½ არშ. ფრანგულ ტრიკოს კაცის სრულ კოსტიუმისთვის; ტრიკო მეტად გამძლე, მოდის სურათებიანი და პრაქტიკული მატყლის მატერიისაა; 2) 8 არშ. მატერიას „ანგლეი" სრულ საქალებო კოსტიუმისთვის, მოდის ლამაზ მატყლის მატერიისას ასეთივე 2 ნაჭერი უმაღლესის სორტისა 6 მ. 25 კ. გაგზავნა 55 კ, ციმბირში 1 მან., 15 კ. თუ ორი ან მეტი წყვილი ნაჭერი გამოიწერეს, გაგზავნის ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ. ვგზავნით ფოსტით ფასდადებით, უბეოდ და თავდებობით. თუ არ მოიწონეთ, უკან მივიღებთ. ადრესი: г. Лодзь, N 18. Фабрика суконно-Шерстяной мануфакуры. მიწერ-მოწერა რუსულად.

Метцль 55930 (3—20—3)

ძმათა ავსარქისოვების

ბაღსა და სანერგეში

მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.

კატალოგები იგზავნება მოთხოვნისამანავე უსასყიდლოდ.

მისამართი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.

(15—55—2) **ავსარქისოვი.**

კლასები

ფორტეპიანოსი

იოსებ გიორგის ძე

ტერ-დავიდოვისა

ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40.

(20—6.—12)

● თოფები და რევოლვერები ●

მონადირეთათვის ტანისამოსი, ფეხთსაცმელები, მოწყობილებანი მონადირეთათვის, სპორტისა და გზისა.

◀ **საუკეთესო ღირსებისა და არჩევანისა.** ▶

ა. ბიტკოვი. მოსკოვი, კუზნეცკის ხიდის პირდაპირ N 8. **საწყობი,** დიდ-ლუბიანკა № 20.

მოიკითხეთ პრეისკურანტი № 9, ხოლო ვისაც აქვს ეს პრეისკურანტი, მოიკითხეთ მისი დამატება ფასების დაკლების გამო.

Метцль и К-о. N 16492. (3—3)

თევზის მაღაზია

ს. ა. ზუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ



ტელეფონი № 395 ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი **ზუთხი და თართი,** ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

ფასები სინიდისიერია. პატივისცემით **ს. ა. ზუკასოვი.** (40—33—7)

ორი წყვილი კოხტა და მკვიდრი შევროს ტყავის

БАЗАРЪ НОВОСТЕЙ ВАРШАВА.

მხოლოდ 6 მ. და 50 კაპ.

ფეხსაცმელი

● **1 წყვილი მამაკაცისა და 1 წყვილი ქალისა** ●

ბევრს ეს ფასი გასაოცრად ეჩვენება და უბრალო რეკლამად მიიჩნევს. ამ აზრის გასაბათილებლად ვაცხადებთ, რომ გადავუხდით 200 მან. ჯარიმას მას, ვინც დაგვიმტკიცებს, რომ აღნიშნული 2 წყვილი ფეხსაცმელი დანიშნულ ფასად არა ღირს.—მიუხედავად ამგვარ მცირე ფასისა, ჩვენი ფეხსაცმელი მზადდება უკანასკნელ მოდის მიხედვით და **მკვიდრად შეკერილ საძირეებით.** საძირეები, საქუსლეები და სხვა საჭირო მასალა სულ ტყავისაა. ზემოთა პირი შეკრულია მკვიდრ შავ ბრჭყვიალა შევროს რბილ ტყავისა ღუკმებით და ზონრებით ფერად კარგი და მსუბუქი სახმარებლად. შენაკვეთის სწრაფად აღსასრულებლად ვთხოვ დაეშურონ შენაკვეთის გამოგზავნით და თან აღნიშნონ ზომა ვერშოკებით ან და ნომერი ფეხსაცმელისა. გაგზავნა საფოსტო ტარიფით დამკვეთის ხარჯით. დამზადებისას დაუყოვნებლივ ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ.—ციმბირსა და შუა აზიის სამფლობელოში თუ 2 მანეთი ბე არ გამოიგზავნა (შეიძლება მარკებით) შენაკვეთი არ იქნება შესრულებული.

მსურველნი, რომელნიც მარტო ერთი წყვილის დაკვეთას ინებებენ ქალისას თუ კაცისას იხდიან 3 მ. 50 კაპ. ვიხოვთ ჩვენ ფეხსაცმელს ნუ აურევთ სხვა ფირმების ფეხსაცმელებთან, რომელნიც აცხადებენ 2 წყვილ ფეხსაცმელს 5 მანეთად და იაფადაც ჰყიდიან, რადგან მათ ფეხსაცმელს ქაღალდის საძირეები აქვს, არც ნაწერებია, მოუხეშავად შეკერილი და სრულიად უფასონო. —✦ **კორესპონდენცია რუსულს და გერმანულ ენებზე.** ✦—

დაიკვეთეთ ამ ადრესით: Базаръ новостей, Варшава, Гранитная 5-я.

(Метцль и К-о. N 55654.) (2—8—2)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).

სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომპტუარში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5 კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2. ტენოგრაფია. 3 დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა.

ავტორი „ვაჭრობ ფაბრ. და ნავთის წარ ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

✦ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ** ✦

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს.

გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა.

კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 714.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ღ——16)

დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

იაროსლავის მაღაზია

პ. ს. დოროხოვისა

მიხაილოვის ქ. ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით, დიდ ახალ შენობაში.

პირველად დანიშნულია 10 დღით 15 ენკენისთვიდან

დიდი იაფობა

ათი დღის განმავლობაში, ე. ი. 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, და 25 ენკენისთვეს.

—◀ **საზღაპრო იაფობა დარჩენილი კუპონებისა და წარსულ სეზონის ყველა საქონლისა.** ▶—

ამ დიდ იაფობაზე გაიყიდება მრავალი საქონელი, გამოგზავნილი ნიჟეგოროდის მაზრიდან, რადგანაც იქ ვაჭრობა ნაკლები იყო. აგრეთვე გაიყიდება დიდ ძალი საქონელი სხვა და სხვა მაღაზიებიდან მოსული გაიყიდება აგრეთვე წარსულ სავაჭრო წლიდან დარსებული ნაჭრები

ფასები განსაცვიფრებლად იაფია

ვურჩევთ მუშტარს ისარგებლოს შემთხვევით და შეიძინოს ყოვლად საჭირო საქონელი.

ვურჩევთ შეიძინონ: ტრიკო ტანისამოსისათვის, დრაფი პალტოებისათვის, მაუდი ქალებისათვის, ფანელი და ბაიკა, ხავერდი ქალების პალტოებისათვის, მაუდი მოჩვენილი ტანისამოსისათვის, აბრეშუმი და მატყლის მატერიები, ქსოვილები, ყოველგვარი ჩითეული, საზამთრო და საზაფხულო საბნები, თბილი თავშალები და შალები ფერადი ფანელი სტოლის სუფრები, მიტკალი, ტილო საფრისათვის, სუფრები ჩაისა და ყავისათვის, სხვა და სხვა გვარი ცხვირსახოცები და სხვა. მზად შეკერილი საცვლები ვაჟებისა და ქალებისათვის, თბილი ჩულქები, ფუფაიკები, წინდები ყოველ-გვარი მოქსოვილი იუბკები ქალებისათვის და სხვა.

5.000 ნაჭერი ძალზე იაფად.

მაღაზიის დიდ ფანჯრებში გამოფენილია დიდ-ძალი საქონელი და ზედ ნაჩვენებია ძალზე იაფი ფასები.

იაფობის დროს მაღაზია დაკეტილი იქნება 2 ნახევარ ს. ნაშუადღევს 4 საათამდე.

(1—ხ.—1) **პ. ს. დოროხოვი.**

სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ილიოდორ სონღულაშვილი.